პროექტი

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

კომუნალური სამსახური „სხივი“

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისთვის

შეძენის შესყიდვის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV კოდი 34300000

სარჩევი

1. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები..

4. დამატებითი ინფორმაცია

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

6. ფასების ცხრილი

1. ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1.1 პრეტენდენტებმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვირთონ შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

ა) საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი;

ბ) ფასების ცხრილი; (დანართი 1-ის შესაბამისად)

1.2 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაციისა და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ამ პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

ა) ანგარიშწორება მოხდება საქონლის მოწოდებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

ბ) საქონლის მიწოდება განხორციელდება მთლიანად ან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 3 კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულების გაფორმებიდან **2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ჩოხატაური კოსტავას 1 შესახვევი #11

გ) საქონლის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით.

დ) ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება მინიმუმ 120 კალენდარული დღით, ტენდერისათვის სტატუსის – ,,წინადადების მიღება დაწყებულია'' მინიჭების ეტაპიდან;

ე) პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;.

ვ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

ზ) შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადაა არანაკლებ 6 თვე, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები (წუნი), გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში აღნიშნულ საქონელში გამოვლენილი წუნი (ხარვეზი) არ ექვებდებარება აღმოხვრვას (შეკეთებას), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა იგივე მოდელის საქონლით (ახალი) ან გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე საქონლით (ახალი) გამოვლენიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შენიშვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნის შემდეგ, არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს/ატვირთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით ან/და მიმწოდებლის მიერ გაცემული ანგარიშფაქტურით (ინვოისით), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები .

შესყიდვის ობიექტი: --- ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური სხივი -ს სარგებლობაში მყოფი ავტომანქანებისათვის (გაზ 3309 ნაგავმზიდი 2009 წლის გამოშვება დიზელის ძრავით 2 ერთეული, გაზ 53 თვითმცლელი 1990 წლის გამოშვება 1 ერთეული, ივეკო ოტოიოლი 2004 წლის გამოშვება ბენზინის ძრავით) ავტონაწილების შეძენის შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 2906 (ორიათასცხრაასექვსი) ლარი.

- შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების, უდეფექტო, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

დამატებითი ინფორმაცია

1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. დ. ჩოხატაური კოსტავას 1 შესახვევი N11
2. სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

გოჩა ცინცაძე

ტელ: 551 44 88 22

ელ.ფოსტა: sxivi2007@yahoo.com

ავთანდილ ცინცაძე

ტელ: 551 48 88 77

ხელშეკრულება № _____

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ჩოხატაური **2016 წელი**

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური სხივი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი ---------- სახით და მეორე მხრივ, _____ (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, N SPA---------- გამარტივებული ელქტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი “ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ - N SPA---------- გამარტივებული ელქტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

---------- (შემდგომში „მომსახურება“) ტექნიკური დავალების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და

ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაო/საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ----------.

5.3 მიწოებული საქონელის საგარანტიო ვადად განისაზღვროს 6 თვე.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართზე.

6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი

ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

7.5 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) აღმოფხვრას გამოვლენილი ხარვეზები (წუნი), გამოვლენიდან

არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში აღნიშნულ საქონელში გამოვლენილი წუნი (ხარვეზი) არ ექვემდებარება აღმოხვრვას (შეკეთებას), მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს აღნიშნული წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა იგივე მოდელის საქონლით (ახალი) ან გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე საქონლით (ახალი) გამოვლენიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის

მხრიდან განახორციელებს ----------.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების

გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის - - -- - -- -- - - - - და მოქმედებს ----------.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“ ----------

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური სხივი
საინდ/კოდი 242008796
ს.ს. ლიბერთი ბანკის
ჩოხატაურის ფილიალი
საინდ. კოდი LIBERTI22
ანგ. №GE65LB0115152725113000

„მიმწოდებელი“ ----------

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდეროწინადადების ფასი: